გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

სპეციალობა: საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომი

სამრეწველო გამოფენა-გაყიდვების მნიშვნელობა საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებისთვის.

სტუდენტი: ივანე აბაიშვილი

ხელმძღვანელი: გელა ალადაშვილი

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია 3
Abstract 4
შესავალი 5
თავი I. მრეწველობის განვითარება საქართველოში 7
1.1. მძიმე მრეწველობა 7
1.2 კვების მრეწველობის განვითარება 13
1.3. სოფლის მეურნეობის განვითარება 20
თავი II. საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობები 25
2.1. ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი 25
2.2 საქართველოს სამრეწველო პოლიტიკა 33
თავი III. სამრეწველო გამოფენა გაყიდვების გავლენა სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე 39
3.1. სამრეწველო გამოფენა-გაყიდვების ღონისძიებები საქართველოში 39
3.2. სტარტაპები და ინოვატორები 43
3.3. ქართული სამრეწველო პროდუქციის ცნობადობა, ... 46
ამაღლების მნიშვნელობა სავაჭრო ურთიერთობების 46
განვითარებაზე 46
დასკვნა 49
გამოყენებული ლიტერატურა 52

ანოტაცია

ნაშრომში „სამრეწველო გამოფენა გაყიდვების მნიშვნელობა საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების გაფართოვებისათვის“ შედგება სამი თავისაგან, პირველთავში განხილულია საქართველოს მრეწველობის დარგების და სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში დღევანდელი მდგომარეობით, ნაშრომის მეორე თავში საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობები, მოვახდენთ ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზს და მიმოვიხილავთ საქართველოს სამრეწველო პოლიტიკის დღევანდელ მდგომარეობას. ნაშრომის მესამე თავში სამრეწველო გამოფენა გაყიდვების გავლენა სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე, განვიხილავთ სამრეწველო გამოფენა-გაყიდვების ღონისძიებებს საქართველოში, თუ რა გავლენას ახდენს ქართული სამრეწველო პროდუქციის ცნობადობის ამაღლება სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე.

იმისათვის, რომ განვითარდეს საქართველოს ეკონომიკა უნდა არსებობდეს სახელმწიფოში სწორად შემუშავებულ სამრეწველო პოლიტიკა, რომელიც მოგვცემს საშუალებას გამოყენებული იქნას ინოვაციური მიდგომები მრეწველობის პრიორიტეტული დარგებისადმი.

საქართველოს ეკონომიკამ, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, უნდა აირჩიოს ეკონომიკური ზრდის ახალი, სრულიად განსხვავებული მოდელი წარსულისაგან, რომელიც ორიენტირებული იქნება ტექნოლოგიურ განვითარებაზე, საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურ ამოქმედებაზე.

Abstract

The "industrial sales value of the exhibition is to expand trade relations" consists of three chapters, deals with pirveltav sectors of industry and the development of agriculture in Georgia today, the second paper on top of the foreign trade relations, will present state of trade eobis analysis and review of the current state of industrial policy. In the Third Chapter of the Industrial Exhibition Sales Impact on the Development of Trade Relations, We will discuss industrial exhibition-sales activities in Georgia on how to increase the awareness of Georgian industrial products on trade relations development.

In order to develop the economy of Georgia there must be an industrial policy developed properly in the country that will enable us to use innovative approaches to industry priority sector.

Georgia's economy, at the modern stage of development, must choose a new, completely different model of economic growth from the past, which is oriented towards technological development, and maximizing export potential.

შესავალი

თემის აქტუალობა: საქართველოს სამრეწველო პოტენციალის ფორმირებამ, საბაზრო ეკონომიკაზ ეგადასვლასთან დაკავშირებით, რთული გზა გაიარა. საბაზრო ეკონომიკიდან მემკვიდრეობით მიღებული ინდუსტრიის თითქმის სრული სპექტრი დაიშალა და მრეწველობის ტემპი ჩვენს ქვეყანაში ისე შემცირდა, სოლიდური ინვესტირების პირობებშიც კი მისი რებილიტაციის საკითხი დღესაც უაღრესად პრობლემატურია.

იმისათვის, რომ განვითარდეს საქართველოს ეკონომიკა უნდა არსებობდეს სახელმწიფოში სწორად შემუშავებულ სამრეწველო პოლიტიკა, რომელიც მოგვცემს საშუალებას გამოყენებული იქნას ინოვაციური მიდგომები მრეწველობის პრიორიტეტული დარგებისადმი.

კვლევის მიზანი ნაშრომზე მუშაობისას ზოგადი მეცნიერული, სტატისტიკური დაკვირვებისა და შედარებითი ანალიზის შედეგად შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ საქართველოს ეკონომიკა დგას გლობალური გამოწვევების წინაშე, რომლის პარალელურად აქცენტი უნდა გაკეთდეს ექსპორტის ზრდაზე.

საქართველოს სამრეწველო სექტორის გააქტიურებისათვის ნამდვილად სჭირდება სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერება ეკონომიკის მართვაში, რადგანაც არსებობს პრობლემები, რომლებიც აფერხებენ საქართველოს ეკონომოკის ინკლუზიურ განვითარებას.

საქართველოს ეკონომიკა საბაზრო ურთიერთობების ფორმირების რთულ პროცესში იმყოფება. საბჭოური ეკონომიკის პროცესები მეტად მტკივნეული აღმოჩნდა

მთელი საზოგდოებისთვის. ამ პროცესებმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარება არ იყო ჩვეულებრივი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი. ეს იყო კატასტროფული მდგომარეობა, რაც გამოიწვია შემდეგმა მიზეზებმა, როგორიცაა ეკონომიკური კავშირების რღვევა; საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ქვეყნისათვის შეუფერებელი მოდელის შერჩევა; სახელმწიფოს როლის იგნორირება ეკონომიკის მართვაში; საკანონმდებლო ბაზის შეუსაბამობა ეკონომიკურ გარდაქმნებთან, არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება და ა. შ.

საქართველოს ეკონომიკამ, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, უნდა აირჩიოს ეკონომიკური ზრდის ახალი, სრულიად განსხვავებული მოდელი წარსულისაგან, რომელიც ორიენტირებული იქნება ტექნოლოგიურ განვითარებაზე, საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურ ამოქმედებაზე.

კვლევის ამოცანა

კვლევის ობიექტი

კვლევის მეთოდოლოგია: გამოყენებულია ზოგადი მეცნიერული, სტატისტიკური დაკვირვებისა და შედარებითი ანალიზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები.

თავი I. მრეწველობის განვითარება საქართველოში
1.1. მძიმე მრეწველობა

საქართველოს სამრეწველო პოტენციალის ფორმირებამ რთული გზა გაიარა თანამედროვე პერიოდამდე. საქართველოს ეკონომიკური სისტემა ერთიანი საბჭოთა სახალხო სამეურნეო კომპლექსის შემადგენელი ნაწილი იყო, სადაც ჩამოყალიბებული იყო მრეწველობის პრიორიტეტები. აღნიშნულ პრიორიტეტებს საკავშირო სპეციალიზაციის დარგები განსაზღვრავდნენ. დღეისათვის შექმნილი პროდუქციის ძირითადი ნაწილი მოდის ქვეყნის ბუნებრივ სანედლეულო რესურსების მოპოვებისა და შიდა ბაზარზე ორიენტირებულ დარგებზე. საზოგადოდ, საქართველოს ეკონომიკა ამჟამად არ უკავშირდება სამრეწველო პროდუქტების (მაგალითად, საინჟინრო სექტორის) ექსპორტს. თუმცაღა, წარსულში საქართველოს ამ მიმართულებით ძლიერი მხარეები გააჩნდა. ყველა მხარე ბუნებრივი განვითარების შედეგი როდი იყო - ზოგი უბრალოდ საბჭოთა წარმოების გათვალისწინებით შეიქმნა, - მაგრამ ზოგი სექტორმა დღემდე მოაღწია (მაგალითად, ლოკომოტივების წარმოება). მრეწველობის სრული უგულებელყოფა და ეკონომიკური პოლიტიკის მთლიანად სასოფლო-სამეურნეო კულტურაზე მიმართვა შესაძლოა რისკიანი გადაწტვეტილება აღმოჩნდეს. მოთხოვნადი სამრეწველო პროდუქტების ექსპორტი დივერსიფიკაციის თვალსაზრისითაც კარგია და ღირებულების მხრივაც. სამრეწველო

სამუშაო ძალის სპეციალიზაციით ქვეყანას ექნება საშუალება მხოლოდ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების (ენერგიის დაბალი ფასი, კარგი კლიმატი) იმედად არ იყოს და ინფრასტუქტურის, განათლების, საკანონმდებლო სისტემისა და საჯარო მართვის სფეროებიც განავითაროს. ამრიგად, ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის განვითარება ხშირად მთლიანად ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას იწვევსშედარებით დაბალი ღირებულების მქონე სამრეწველო პროდუქტები (როგორებიცაა კონტეინერები, სადენები და კაბელები) შესაძლოა გამოყენებულ იქნას უფრო მაღალი ნამატი ღირებულების მქონე პროდუქტების ექსპორტზე გადასვლის საფეხურად და, მაგალითად, ხელი შეუწყოს ქვეყანაში საიმედო აუთსორსინგული სისტემის ჩამოყალიბებას. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გამოცდილება ცხადყოფს, რომ მანქანათმშენებლობაში წარმატებას წინ უსწრებდა დასავლეთ ევროპული მანქანათმშენებლობისათვის ისეთი მარტივი აუთსორსინგული ნაწილების წარმოება, როგორიცაა ელექტროკაბელები. არანაკლებ მნიშვნელოვანია საჯარო მართვის შესახებ ინვესტორებისაგან მიღებული უკუკავშირიც, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ გამოიკვეთოს შემდგომი ზრდისათვის ხელისშმემშლელი ბარიერები და დაბალღირებულებიანი მრეწველობის ექსპორტმა გზა გაუკვალოს უფრო კომპლექსურ და მაღალი ღირებულების მქონე ექსპორტს.

საკუთრების მრავალფორმიანობაზე დამყარებული სამეწარმეო საქმიანობის განვითარება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე მეწარმეობის განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა პრივატიზაციის პროცესები და მოხდა სამრეწველო საწარმოთა დიდი ნაწილს აქციონირება, მრეწველობის განვითარების ტენდენცია საგრძნობ გაუმჯობესებას არ განიცდის. ამიტომ აუცილებელია ამ მხრივ მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება.

საქართველოს მრეწველობის განვითარების პროცესს თუ დავაკვირდებით, აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, გარკვეულ დონეს მიაღწია, კერძოდ, საქართველოს მშპ-ში, 2016 წლის მონაცემებით, განსაკუთრებული ხვედრითი წილი უკავია მრეწველობას, 25,1% და მშენებლობას-11,7%. მრეწველობის

ქვესექტორების მიხედვით, უმეტესად განვითარებულია ფოლადის, მარგანეცის, ფეროშენადნობების, ცემენტის, მატარებლის ვაგონების, თვითმფრინავების ნაწილებისა სხვა მეტალშემცვლელი პროდუქციის წარმოება. ძირითადი მიზეზი ამ დარგების შენარჩუნებისა, სავარაუდოდ არის მათი მეტნაკლები უპირატესობა რეგიონში არსებულ მწარმოებლებთან შედარებით, ქვეყანაში არსებული შესაბამისი ბუნებრივი წიაღისეულით და საბჭოთა კავში- რიდან შემორჩენილი ტექნიკურ-ინფრასტრუქტურული მემკვიდრეობა. აქ ჩამოთვლილი პროდუქციას ძირითადად აწარმოებენ ქარხნები, რომლებიც შეიქმნა საბჭოთა კავშირის დროს, მათ გააჩნიათ შედარებით მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და ასევე, რიგ შემთხვაში კლასტერულად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. საზოგადოდ, საქართველოს ეკონომიკა ამჟამად არ უკავშირდება სამრეწველო პროდუქტების (მაგალითად, საინჟინრო სექტორის) ექსპორტს. თუმცაღა, წარსულში საქართველოს ამ მიმართულებით ძლიერი მხარეები გააჩნდა. ყველა მხარე ბუნებრივი განვითარების შედეგი როდი იყო - ზოგი უბრალოდ საბჭოთა წარმოების გათვალისწინებით შეიქმნა, - მაგრამ ზოგი სექტორმა დღემდე მოაღწია (მაგალითად, ლოკომოტივების წარმოება). მრეწველობის სრული უგულებელყოფა და ეკონომიკური პოლიტიკის მთლიანად სასოფლო-სამეურნეო კულტურაზე მიმართვა შესაძლოა რისკიანი გადაწტვეტილება აღმოჩნდეს. მოთხოვნადი სამრეწველო პროდუქტების ექსპორტი დივერსიფიკაციის თვალსაზრისითაც კარგია და ღირებულების მხრივაც. სამრეწველო სამუშაო ძალის სპეციალიზაციით ქვეყანას ექნება საშუალება მხოლოდ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების (ენერგიის დაბალი ფასი, კარგი კლიმატი) იმედად არ იყოს და ინფრასტუქტურის, განათლების, საკანონმდებლო სისტემისა და საჯარო მართვის სფეროებიც განავითაროს. ამრიგად, ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის გაანვითარება ხშირად მთლიანად ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას იწვევს.სამრეწველო პროდუქცია სპილენძის მადნები და კონცენტრატები ექსპორტი 324.9 მლნ. აშშ დოლარი, 28%-ით და 71.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი.

• საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი (74%), რუმინეთი (16%), ესპანეთი (10%);

- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ბულგარეთი (47%), ესპანეთში (5%);
- ექსპორტი შემცირდა რუმინეთში (12%). აზოტოვანი სასუქები - ექსპორტი 45.6 მლნ. აშშ დოლარი, 4%-ით და 1.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი.
- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ლიტვა (34%), ბულგარეთი (25%), იტალია (10%), რუმინეთი (12%), ესტონეთი (5%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ლიტვა (140%), ესტონეთი (61%), იტალია (130%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: რუმინეთი (44%), ასევე პოლონეთი (5,65 მლნ. აშშ დოლარით) და საფრანგეთი (1,21 მლნ. აშშ დოლარით) ამ ორ ქვეყანაში 2018 წელს ექსპორტი არ განხორციელებულა. რეზინის პნევმატური სალტეები და საბურავები - ექსპორტი 30.8 მლნ. აშშ (სრულად რეექსპორტია) დოლარი, 36%-ით და 8.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი.
- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ნიდერლანდები (58%), ბელგია (29%), გერმანია (11%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ბელგია (170%), გერმანია (4-ჯერ). შავი ლითონის მილები - ექსპორტი 6.8 მლნ. აშშ დოლარი, 125%-ით და 3.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი.
- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია (52%), გერმანია (40%), ესპანეთი (4%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: გერმანია (2-ჯერ), იტალია (2-ჯერ);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: პოლონეთი (0,3 მლნ. აშშ დოლარით, მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), უნგრეთი (0,25 მლნ. აშშ დოლარით, მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა). მანგანუმის ოქსიდები - ექსპორტი 5.2 მლნ. აშშ დოლარი, 53%-ით და 1.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი.
- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ნიდერლანდები (27%), საფრანგეთი (16%), გაერთიანებული სამეფო (15%), ესპანეთი (12%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ესპანეთი (79%), ნიდერლანდები (56%), საფრანგეთი (2-ჯერ); საფრენი აპარატები - ექსპორტი 2.2 მლნ. აშშ დოლარი (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (94%), პოლონეთი (4%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: გერმანია (2.1 მლნ. აშშ დოლარით) და პოლონეთი (0,1 მლნ. აშშ დოლარით). ამ ქვეყნებში წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა.

სამრეწველო პროდუქცია ფეროშენადნობები - ექსპორტი 14.6 მლნ. აშშ დოლარი, 16%-ით და 2.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები.

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ესპანეთი (52%), საფრანგეთი (15%), იტალია (21%), ნიდერლანდები (7%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: ლუქსემბურგი (2.0 მლნ. აშშ დოლარით), საბერძნეთი (1.4 მლნ. აშშ დოლარით). ამ ქვეყნებში 2018 წელს ექსპორტი არ განხორციელებულა;
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: იტალია (127%), ესპანეთი (7%), ნიდერლანდები (4-ჯერ), ჩეხეთი (0.3 მლნ. აშშ დოლარით, წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა). ქალის პალტოები, ლაბადები - ექსპორტი 3.1 მლნ. აშშ დოლარი, 55%-ით და 3.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები.
- ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: იტალია (63%), გერმანია (36%);
- ექსპორტი შემცირდა იტალიაში (66%);
- ექსპორტი გაიზარდა გერმანიაში (5%). ჯამება 3;

საქართველოს გააჩნია იმის პოტენციალი, რომ განივითაროს შედარებითი უპირატესობის მატარებელი ახალი მიმართულებები: ენერგოტევადი, აგროსასურსათო და სამრეწველო პროდუქტის წარმოება, და ასევე ქვეყანას აქვს ბიზნეს-მომსახურებათა ექსპორტში დასპეციალიზების პოტენციალი. ზემოთ ხსენებული მიმართულებებიდან ზოგიერთისათვის გამოვავლინეთ ბარიერები, რომლებიც უშლიან ხელს უფრო მეტად დასპეციალიზებას. სახელმწიფოს შეუძლია ამ პრობლემების აღმოფხვრისათვის მნიშვნელოვანი როლის შესრულება, მაგალითად, ელექტროენერგიის კონკურენტული ფასის შენარჩუნებით ან ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბაზარზე შეღწევის მხარდაჭერით.

დიაგრამა 1.1.



წყარო: საქსტატი 2019.

დიაგრამა 1.2.



წყარო: საქსტატი 2019.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) წინასწარი მონაცემებით, საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი 11 013.9 ლარს (4 345 აშშ დოლარი) შეადგენს.2018 წელს მშპ-ში ვაჭრობის და მრეწველობის დარგი ლიდერობს. მათი წილი ცალ-ცალკე 17%-ია. საქსტატის მონაცემებით 2018 წელს 2017 წელთან შედარებით, მშპ-ში მრეწველობის წილი 0,3%-ით გაიზარდა. 2016 წელს მრეწველობის წილი მშპ-ში16,4%-ი იყო. შემდგომ პოზიციებს იკავებს ტრანსპორტი დმშენებლობა - 9.3%;

- სახელმწიფო მმართველობა- 8.2%;
- სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა - 7.7%;
- ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა - 7.4%;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება- 5.8 %;

დანარჩენი 17,4% კი სხვა დარგებზე ნაწილდება.ა კავშირგაბმულობა - 10.2 %;

1.2 მსუბუქი მრეწველობა

მსუბუქი მრეწველობა როგორც დარგის განვითარება ნელი ტემპით დაიწყო ჯერ კიდევ 1923 წლიდან,სერიოზულ მაშტაბებს 1960-1980 წლებში მიაღწია ,როცა უახლოესი ტექნიკით აღიჭურვა თბილისში მაუდ-კამვოლის კომბინატი,რომელიც წლის განმავლობაში 8 მილიონ მეტრ ქსოვილს უშვებდა.თბილისში გლდანში დაცხინვალში ამუშავდა ტრიკოტაჟის ფაბრიკა,ასევე რეკონსტრუქცია ჩაუტარდა

ცხაკაიას ხალიჩების კომბინატს და ზუგდიდში აშენდა და თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა ფაიფურის ქარხანა.

1980 წლის მონაცემებით მსუბუქი მრეწველობა წელიწადში აწარმოებდა :

- ბამბის ქსოვილს _ 60,0 მლნ გრძ. მეტრს;
- აბრეშუმის ქსოვილს _ 49, 2 მლნ გრძ. მეტრს;
- ზედა ტრიკოტაჟს _ 15,9 მლნ ცალს;
- წინდის ნაწარმს _ 27,4 მლნ წყვილს;
- ტყავის ფეხსაცმელს _ 15,6 მლნ წყვილს;
- ტრიკოტაჟის თეთრეულს _ 27, 7 მლნ ცალს;
- შალის ქსოვილს _ 5,17 მლნ გრძ. მეტრს;

მოკავშირე რესპუბლიკებს შორის გამომუშავებული პროდუქციით მსუბუქ მრეწველობაში საქართველო მე-3 ადგილს ინარჩუნებდა.1975-1982 წლებში მრეწველობის ზრდის ტემპს 32% -ით ვუსწრებდით,მაგრამ წარმოების ესეთი ზრდის ტემპი ცუდად აისახებოდა წარმოებული პროდუქციის ხარისხზე.

აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ დღევანდელი ხელისუფლების გადადგმული ნაბიჯების იმედის მომცემია,სოფლის განვითარების პროგრამაში ადგილი დათმობილი აქვს აბრეშუმის წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის ბაზის შექმნას და ასევე აბრეშუმის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკების შექმნა.სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარების პირობებში იქმნება რეალური ბაზა მსუბუქი მრეწველობის დარგების.

მთავრობა აუცილებლად უნდა დაეხმაროს კერძო სექტორს:

- უნდა აღმოაჩინოს ისეთი ეკონომიკური საქმიანობები, რომელიც დიდი ალბათობით გახდება საქართველოს შეფარდებითი უპირატესობა
- ჩატარდეს ტექნოლოგიური კვლევა

- კოორდინაცია გაუკეთოს და ჩართოს კერძო სექტორი რომელიც განახორციელებს ინვესტიციებს და თავისტავზე აიღებს კომერციულ რისკს
- კორდინაცია გაუწიოს არსებული პინანსური რესურსებისა და ინსტრუმენტების მობილიზებას პროექტების განსახორციელებლად როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“, საპარტინიორო ფონდი, თანადაფინანსების ფონდი და ა. შ.

დიაგრამა 1.3.

2012-2017 წლის მონაცემები მსუბუქი მრეწველობის წარმოების განაწილება.



საწარმოთა განაწილების დიაგრამა რეგიონების მიხედვით

დიაგრამის მიხედვით 5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა

დღესდღეისობით მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური ჯგუფი მუშაობს 30-დე პროექტზე.მათ შორისაა:

- ბუნებრივი ქვის მოსაპირკეთებელი ფილების წარმოება
- კერამიკული ფილების წარმოება
- იმერული მწვანილის ექსპორტის ხელშეწყობის პროექტი
- რძის გადამამუშავებელი საწარმო
- ეთერზეთების წარმოება
- დაფნის ფოთლის გადამუშავება და ეთერზეთის წარმოება

- მეაბრეშუმეობის აღორძინების პროექტი
- სამკერვალო საწარმოების ხელშეწყობის პროექტი
- ტექსტილის წარმოება
- ცვეთამედეგი ინსტრუმენტების წარმობა
- ავტომობილების წარმოება iStream ტექნოლოგიით
- კალციტის მოპოვება-გადამუშავება
- ჯავშანმანქანების წარმოება
- პოლიმერული მასალების წარმოება
- ფოლადის მილების წარმოება
- ქაღალდის და შესაფუთი მასალის წარმოების ხელშეწყობა

ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი მრეწველობის განვითარებაში არის ტურიზმი,დღევანდელ მონაცემებს თუ გადავხედავთ ტურიზმი ერთ-ერთ მსხვილ,დინამიურად განვითარებად და რენტაბილურ დარგს წარმოადგენს საქართველოში.

დიაგრამა1.4.



წყარო: საქსტატი 2019

დიაგრამიდან ჩანს,რომ შემოსულ ტურისტთა რაოდენობა ყოველ წელს იზრდება.

საქართველოს და შედეგების გათვალისწინებით წინასწარ დავგეგმოთ მსუბუქი მრეწველობის რომელი და რა რაოდენობის ნაწარმის გამოშვება იქნება აუცილებელი ტურისტთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამისათვის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა ადგილობრივი რესურსების გამოყენებით უნდა შექმნან პროდუქციის ისეთი სახეობები, რომელიც ტურისტთა მოთხოვნების ნუსხაში აღმოჩნდება, ეს კი საჭიროებს არა მარტო ტურისტული ბიზნესის პერსპექტიული განვითარების შესწავლას, არამედ ასევე ტურიზმის ხელშეწყობისათვის მსუბუქი მრეწველობის იმ დარგების აღორძინებას, რომელიც დააკმაყოფილებს ტურისტთა მოთხოვნებს. მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს ამ მიმართულებით გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია ტურისტული ბიზნესის განვითარებაში, ხოლო ტურისტულ ბიზნესს კი მსუბუქი მრეწველობის ტრადიციული დარგების აღდგენა-აღორძინებაში.

ჩემი აზრით მსუბუქი მრეწველობის კატასტროფულ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ,საწყის ეტაპზე დროებით აუცილებელია საგადასახადო შეღავათების დაწესება.ვფიქრობ ეკონომიკის სამინისტროში უნდა შეიქმნას სპეციალური ჯგუფი სპეციალისტების,ეკონომისტებისა და ექსპერტების შემადგენლობით.სწორედ ეს ხალხი შეიმუშავებს დარგების ეკონომიკური განვითარების გეგმებს

1.3 კვების მრეწველობის განვითარება

კვების მრეწველობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს სახალხო მეურნეობაში. კვების მრეწველობა, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგი, აგროსამრეწველო კომპლექსის განუყოფელი ნაწილია.

დღესდღეობით, განსაკუთრებული მნიშვნელობა მოსახლეობის ძირითადი სასურსათო პროდუქტებით დაკმაყოფილებას ენიჭება. აღნიშნულ სფეროში წარმოებასა და მოხმარებას შორის კავშირის აღდგენისათვის კვების მრეწველობის ეფექტიანობის განსაზღვრაა საჭირო.

კვების მრეწველობა ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს, რომელიც აგროსამრეწველო კომპლექსის განუყოფელი ნაწილია. მასში გაერთიანებულია დაახლოებით 30-ზე მეტი სპეციალიზებული დარგი. კვების მრეწველობის განვითარებაზე დამოკიდებულია ისეთი მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონეთა შორის განსხვავების დაძლევა, ადამიანთა შრომითი საქმიანობის აქტიურობის ასამაღლებლად ხელსაყრელი პირობების შექმნა და სხვ.

კვების მრეწველობის განვითარების დონე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. კვების მრეწველობის საწარმოთა ნორმალური ფუნქციონირება დამოკიდებულია სოფლის

მეურნეობის პროდუქციის დამზადების ორგანიზაციაზე. სასურსათო პროგრამის განხორციელებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კვების მრეწველობას, რომელიც ნედლეულს უშუალოდ სოფლის მეურნეობიდან ან შესაბამისი დამამზადებელი პუნქტებიდან იღებს, გადაამუშავებს მას სასურსათო პროდუქტებად და აღნიშნული პროდუქტებით მოსახლეობას ამარაგებს. თემის აქტუალურობას განსაზღვრავს ის, რომ საქართველოს კვების მრეწველობა წარმოადგენს ქვეყნის სახალხო მეურნეობის და მათ შორის, მრეწველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს და მას მიეკუთვნება წამყვანი ადგილი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისა და საბიუჯეტო შემოსავლების გადიდების საქმეში.

კვების ინდუსტრია მრეწველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელიც მოწოდებულია დააკმაყოფილოს მოსახლეობის საარსებო, ყოველდღიური მოთხოვნები კვების პროდუქტებზე და შექმნას სასურსათო საქონლის რეზერვები, რომელიც უზრუნველყოფს ამ აუცილებელი პროდუქციით მოსახლეობის შეუფერხებელ მომარაგებას. საქართველოს სამრეწველო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებიდან ერთ-ერთს კვების მრეწველობის საწარმოთა რეაბილიტაცია და განვითარება (ღვინო და ღვინოპროდუქტები, ჩაი, სასმელი და მინერალური წყლები, ხილისა და ბოსტნეული კონსერვები, ეთერზეთები) წარმოადგენს.

კვების მრეწველობის ჩქარი ტემპებით განვითარება წინ წაწევს ქვეყნის სურსათით მომარაგების საქმეს, ხოლო საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე ზრუნვა აუცილებელია, რადგან საქართველომ გარკვეული 26 ადგილი დაიკავოს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებით საერთაშორისო ბაზარზე. პრობლემის აქტუალურობა იმაშიც გამოიხატება, რომ ის მიძღვნილია კვების მრეწველობის სპეციალიზებული დარგების დიდი, საშუალო და მცირე საწარმოების საწარმოო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებისათვის საჭირო რეზერვების გამოვლენისადმი.

კვების მრეწველობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს სახალხო მეურნეობაში. კვების მრეწველობა, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგი, აგროსამრეწველო კომპლექსის განუყოფელი ნაწილია. რევოლუციამდელი საქართველოს კვების მრეწველობა დაბალი დონით ხასიათდებოდა. ის წარმოდგენილი არ იყო რაციონალურად განლაგებული, არამედ კაპიტალისტური მანუფაქტურისა და სარეწების ტიპის, მცირე საწარმოებით, ძველებური ტქნიკითა და წარმოების თვითნასწავლი მეთოდებით. მნიშვენელოვანი ყურადღება ეთმობოდა კვების პროდუქტების შინაურ გამოშვებას. რევოლუციამდელი საქართველოს კვების მრეწველობის განლაგება ასახავდა ამ პერიოდის ეკონომიკის საერთო ჩამორჩენილობას.

1.3. სოფლის მეურნეობის განვითარება

საქართველოს სოფლის მეურნეობას უძველესი და მდიდარი ტრადიციები გააჩნია, რაც ქვეყნის ისტორიის, ცნობიერებისა და კულტურული მემკიდრეობის განუყოფელი ნაწილია.სწორედ ამ ერთობლიობამ საუკუნეების განმავლობაში დიდი როლი ითამაშა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ასევე მის განვითარებაში. ჩვენს ქვეყანას აქვს უზარმაზარი აუთვისებელი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი, იმდენად დიდი, რომ შესაძლებელია სასოფლოსამეურნეო პროდუქციის წარმოების ხუთჯერ გაზრდა.როგორც საშინაო ასევე საერთაშორისო ბაზრებს კი შეუძლიათ ასეთი გაზრდილი რაოდენობით წარმოებული პროდუქციის ათვისება. წარმატება კიდევ უფრო დიდი იქნება როდესაც შეიქმნება სოლიდური ეკონომიკური საფუძველი ქვეყნის თანდათანობითი დივერსიფიკაციის ფონზე. ამის შედეგად მრავალი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია სოფლში სიღარიბესთან, უმუშევრობასა და საკვების დეფიციტთან, აღმოიფხვრება.

საქართველოს მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 43.4% (3 მილიონ ჰექტარზე ოდნავ მეტი) ითვლება სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწებად, რომელშიც

ასევე შედის საძოვრები და მდელოები. დანარჩენი ფართობის 43% დაფარულია ტყის საფარით. ქვეყანაში ეკოლოგიური-კლიმატური ზონების დიდი ნაირსახეობაა, რაც ზომიერი და სუბტროპიკული ზონებისთვის დამახასიათებელი სასოფლო და სამეურნეო კულტურების მოყვანის შესაძლებლობას იძლევა. ეს კულტურებია: მარცვლეულს, საადრეო და საგვიანო ბოსტნეულს, ბაღჩეულს, კარტოფილს, ტექნიკურ კულტურებს, ყურძენს, სუპტროპიკულ კულტურებს, ხილის ნაირსახეობას დასხვ. კლიმატური ზონების გათვალისწინებით, საქართველოს მრავალი ბიოსფერო არსებობს რაც განპირობებულია 12 განსხვავებული ზონის და 49 სხვადასხვა ნიადაგის არსებობით.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების არსებობის მიუხედავად, ბოლო ათწლეულების განმავლობაში დარგის განვითარების ტემპი საგრძნობლად ჩამორჩებოდა ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარების ტემპებს.

ბოლო პერიოდში, ქვეყანაში აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტის ღირებულებამ 1 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმპორტის ზრდის პარალელურად ჩამოყალიბდა ადგილობრივი წარმოების შემცირების ნეგატიური ტენდენცია. შემცირდა ყველა სახის პროდუქციის საკუთარი წარმოებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები,რის შედეგედაც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით დამაფიქრებელია გაეროსა და მსოფლიო ბანკის პროგნოზის ფონზე, რომლის მიხედვითაც ახლანდელი საუკუნის 40-50-იან წლებში მსოფლიოში მწვავე სასურსათო კრიზისს ვარაუდობენ.არსებული გამოწვევები განვითარებულ ქვეყნებს აიძულებს, სერიოზულად გადახედონ თავიანთ აგრარულ პოლიტიკას, ხოლო იმპორტდამოკიდებული ქვეყნები, თუ ადეკვატურ ღონისძიებებს არ მიმართავენ, სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ფერმერებისა და სოფლად დასაქმებულთა უნარებისა და შესაძლებლობების ამაღლება, რათა

გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობის დარგის პროდუქტიულობა და კონკურენტუნარიანობა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია სპირტიანი ალკოჰოლური სასმელები - ექსპორტი 42.3 მლნ. აშშ დოლარი (მ.შ. რეექსპორტი 58%), 49%-ით და 13.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: საფრანგეთი (46%), ესპანეთი (29%), ნიდერლანდები (12%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: საფრანგეთი (22%-ით), ესპანეთი (3-ჯერ);
- ექსპორტი შემცირდა ნიდერლანდებში (10%). ღვინო - ექსპორტი 18.6 მლნ. აშშ დოლარი, 24%-ით და 3.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი.
- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პოლონეთი (42%), ლატვია (21%), გერმანია (8%), ესტონეთი (8%), ლიტვა (6%), ნიდერლანდები (2.4%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: პოლონეთი (32%), ლატვია (12%);
- ექსპორტი შემცირდა ნიდერლანდებსა (50%) და გერმანიაში (3%). მინერალური წყალი - ექსპორტი 16.2 მლნ. აშშ დოლარი, 23%-ით და 3.0 მლნ. აშშ დოლარით მეტი.
- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ლიტვა (97%), ბულგარეთი (1%), გ/სამეფო (0.5%);
- ექსპორტი გაიზარდა ლიტვაში (25%). ხილ-ბოსტნეულის კონსერვები - ექსპორტი 7.6 მლნ. აშშ დოლარი, 48%-ით და 2.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი. 6
- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (46%), ავსტრია (14%), იტალია (15%), სლოვაკეთი (5.7%), ჩეხეთი (4.2%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ავსტრია (7-ჯერ), იტალია (37%), გერმანია (70%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: ჩეხეთი (41%), სლოვაკეთი (14%). ხილის წვენები - ექსპორტი 4.8 მლნ. აშშ დოლარი, 6%-ით და 0.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი.
- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (64%), საბერძნეთი (14%), ნიდერლანდები (11%), პოლონეთი (4.8%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ნიდერლანდები (12-ჯერ), პოლონეთი (2-ჯერ);

• ექსპორტი შემცირდა გერმანიაში (4%).

2018 წელს ევროკავშირში შემდეგ პოზიციებზე დაფიქსირდა ექსპორტის კლება: სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია თხილი - ექსპორტი 36.5 მლნ. აშშ დოლარი, 33%-ით და 17.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები.

• ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია (39%), გერმანია (15%), ჩეხეთი (8%), ლიტვა (8%), სლოვაკეთი (6%), ესპანეთი (6%), საფრანგეთი (6%); • ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: გერმანია (63%), ჩეხეთი (38%), იტალია (28%), ბელგია (63%);

• ექსპორტი გაიზარდა ესპანეთში (38%). პარკოსანი ბოსტნეულის ფქვილი - ექსპორტი 2.6 მლნ. აშშ დოლარი, 32%-ით და 1.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები.

• ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (74%), საფრანგეთი (12%);

• ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: გერმანია (22%), საფრანგეთი (65%); • ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ავსტრიაში (0.2 მლნ. აშშ დოლარი, ექსპორტი წინა წელს არ განხორციელებულა). ხილის ჯემები - ექსპორტი 5.9 მლნ. აშშ დოლარი, 7%-ით და 0.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები.

• ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (40%), ავსტრია (33%), ბელგია (15%), სლოვაკეთი (9%);

• ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: გერმანია (21-ჯერ), სლოვაკეთი (0,5 მლნ. აშშ დოლარით, წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა);

• ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: ავსტრია (60%), ბელგია (29%).

განვიხილოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტის მონაცემები დასვლეთ ევროპის ქვეყნებთან მიმართებაში.

2018 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში გაიზარდა 36%-ით და 647.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა,

დსთ-ში ექსპორტის ზრდა თითქმის ყველა ძირითად პოზიციასა და ქვეყანაში დაფიქსირდა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია:

ღვინო - ექსპორტმა შეადგინა 152.1 მლნ. აშშ დოლარი (16%-ით და 21.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (75%), უკრაინა (14%), ყაზახეთი (6%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (16%), უკრაინა (21%). 12 თამბაქოს მზა ნაწარმი - ექსპორტმა შეადგინა 141.3 მლნ. აშშ დოლარი (სულ რეექსპორტი) (3-ჯერ და 105.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი). • ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (70%), ყაზახეთი (23%), უზბეკეთი (9%);
- ექსპორტი გაიზარდა: აზერბაიჯანში (4-ჯერ და 74.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი), ხოლო ყაზახეთში (3-ჯერ). მინერალური წყლები - ექსპორტმა შეადგინა 91.1 მლნ. აშშ დოლარი (14%-ით და 11.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).
- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (55%), უკრაინა (20%), ბელარუსი (10%), ყაზახეთი (11%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (10%), ბელარუსი (27%), ყაზახეთი (59%). თხილი - ექსპორტმა შეადგინა 26.3 მლნ. აშშ დოლარი (23%-ით და 6.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).
- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: სომხეთი (55%), რუსეთი (9%), უკრაინა (8%);
- ექსპორტი გაიზარდა სომხეთში 3-ჯერ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - ექსპორტმა შეადგინა 15.2 მლნ. აშშ დოლარი (55%-ით და 5.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).
- ექსპორტი სრული მოცულობით განხორციელდა აზერბაიჯანში. უალკოჰოლო სასმელები - ექსპორტმა შეადგინა 25.5 მლნ. აშშ დოლარი (63%-ით და 9.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი).
- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (45%), რუსეთი (33%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (89%), რუსეთი (44%).

თავი II. საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობები
2.1. ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი

საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში სახელმწიფოს ხედვაა საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, ორმხრივი, რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, ასევე პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარება; შესაბამისად, მათი და ასევე, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გამოყენების ხელშეწყობა ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირების და ქვეყანაში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ხელშეწყობით. საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებისა და ექსპორტის ხელშეწყობისათვის საქართველოს საგარეო ვაჭრობის შედეგებისა და და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების რეგულარული ანალიზი. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების განხორციელების კოორდინაცია სამთავრობო უწყებათა შორის და შესაბამის ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა.

ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად პრინციპს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკისა. საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი და, შესაბამისად, ვმო-ს წევრ ქვეყნებთან (162 ქვეყანა) სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება MFN რეჟიმის საფუძველზე. თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს პრეფერენციების განზოგადებული სისტემა (GSP). აღნიშნული სისტემის ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე.

საქართველო არის ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი: ევროკავშირი, აშშ, იაპონია, კანადა, შვეიცარია და ნორვეგია. [1] გარდა პრეფერენციული რეჟიმებისა, საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს დსთ-ს ყველა ქვეყანასთან და თურქეთთან. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობის გათავისუფლებას საბაჟო¬საიმპორტო გადასახადისაგან, გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი რეგულირდება "თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ".

დსთს 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით და ასევე ორმხრივ ფორმატში იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს აქვს ასეთი სახის ორმხრივი შეთანხმება. საქართველო ასევე არის დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია სუამ-ის ფარგლებში მოქმედი "თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ" 2002 წლის მრავალმხრივი შეთანხმების მონაწილე ქვეყნა.

2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ (DCFTA) შეთანხმება. ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია (IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან

[1] საქ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
www.economy.ge

დაკავშირებული საკითხები), რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

საქართველოს მიერ გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის სხვა შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგალითად, სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა სატარიფო პოლიტიკისა და ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისთვის გააჩნია მსოფლიოში ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაშიც იგულისხმება გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და კონკურენტული სავაჭრო რეჟიმი აქვს. საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, 2006 წლის პირველი სექტემბრიდან საიმპორტო ტარიფების თექვსმეტი სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე (0,5 და 12%). საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 85%-ზე. აღარ არსებობს სეზონური ტარიფები. იმპორტირებულ საქონელზე ტარიფი დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის XXVIII-ე თავის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობით ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისგან. გამომდინარე იქიდან, რომ 1997 წლის 1 სექტემბრიდან საქართველო იყენებს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგვრას დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, ექსპორტი

საქართველოდან დღგ-თი არ იბეგრება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, დღგ და სააქციზო გადასახადის განაკვეთები ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქციაზე თანაბარია.

საქართველოს ასევე ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შემდეგ ქვეყნებთან: რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, თურქეთი. ამასთან, რუსეთის ფედერაციასთან და თურქეთთან არსებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ითვალისწინებს გამონაკლისებს, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმიდან გარკვეული სახის საქონლის ამოღებას.

დიაგრამა 2.1.



წყარო: საქსტატი 2019.

2018 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 17%-ით გაიზარდა და 12 484.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი 22.9%-ით გაიზარდა და რეკორდული მაჩვენებლით - 3 362.1 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა; იმპორტი 14.9%-ით გაიზარდა და 9 122.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა; ექსპორტის გაცილებით მაღალი ზრდის ტემპის შედეგად, უარყოფითი სალდო 3%-ით შემცირდა, 5 760.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და სვაჭრო ბრუნვის 46% დაიკავა. შესაბამისად, გაიზარდა ექსპორტის წილი ბრუნვაში 25.6%-იდან, 27%-მდე.

დიაგრამა 2.2.



წყარო: საქსტატი 2019.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2017 წელთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს,მხოლოდ გერმანიასთან შემცირდა 3 მლნ.აშშ დოლარით

დიაგრამა 2.3.



წყარო: საქსტატი 2019.

2018 წლის სტატისტიკური მონაცემებით წმინდა ექსპორტი 11%-ით გაიზარდა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 68% წმინდა ექსპორტი - 2018 წელს საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტის ისტორიული მაქსიმუმი - 2 297 მლნ აშშ დოლარის დაფიქსირდა. აქედან 85% საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის

რეჟიმის მქონე ქვეყნებში გავიდა, რომელთა ჯამური საექსპორტო ბაზარი მსოფლიო სამომხმარებლო ბაზრის 1/3 და 2.3 მილიარდზე მეტი მომხმარებელია.

დიაგრამა 2.4.



წყარო: საქსტატი 2019.

დიაგრამიდან ირკვევა, რომ ჩინეთის გარდა ყველა ქვეყანასთან გაზრდილია ექსპორტი.

დიაგრამა 2.5.



წყარო: საქსტატი 2019.

დიაგრამაზე ნათლად ჩანს,რომ ბაზრის ყველაზე დიდი წილი უჭირავს სპილენძის მადნებს და კონცენტრატებს(15%) და მსუბუქ ავტომობილებს(12%)



საწარმოთა განაწილების დიაგრამა რეგიონების მიხედვით

რეექსპორტი - 2018 წელს, საქართველოდან განხორციელებულმა რე-ექსპორტმა ასევე ყველა წინა წლის მაჩვენებელს გადააჭარბა, 66%-ით გაიზარდა და 1 065.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 32% შეადგინა. ამასთან აღსანიშნავია, რომ რეექსპორტისთვის ძირითადი სამომხმარებლო ბაზარი დსთ-ს ქვეყნებია, რომლებშიც მთლიანი რეექსპორტის 79% გადის.[2]

2018 წელს სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირთან გაიზარდა 17,7%-ით, 3 359.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 26.9% დაიკავა. მათ შორის: ექსპორტი - 730.3 მლნ. აშშ დოლარი, 11.5 %-ით მეტი და საქართველოს ექსპორტის 21.7%. მათ შორის წმინდა ექსპორტი 637 მლნ. აშშ დოლარი და ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 87.3%. რეექსპორტი 93.3 მლნ აშშ დოლარით და 12.7%; იმპორტი 2 629.1 მლნ. აშშ დოლარი, 19.5%-ით მეტი და საქართველოს იმპორტის 28.8%.

2018 წელს ევროკავშირში 10 ძირითადი საექსპორტო პროდუქციის წილმა, ევროკავშირში მთლიანი ექსპორტის 77.9% შეადგინა. ეს პოზიციებია:

- სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 325 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 44.5%);
- აზოტოვანი სასუქები - 45.7 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 6.2%);

[2] http://www.economy.ge(24.03.2019)

- სპირტიანი სასმელები - 42.3 მლნ. აშშ დოლარი (მ.შ. რეექსპორტი 58%) (წილი - 5.8%);
- თხილი - 36.5 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 5%);
- საბურავები - 30.9 მლნ. აშშ დოლარი (სულ რეექსპორტი) (წილი - 4.2%);
- ნავთობპროდუქტები - 29.5 მლნ. აშშ დოლარი (მ.შ. რეექსპორტი 33%) (წილი - 4%);
- ღვინო - 18.6 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 2.5%);
- მინერალური წყლები - 16.2 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 2.2%);
- ფეროშენადნობები - 14.6 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 2%);
- მსუბუქი ავტომობილები - 10.8 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 1.5%)

2018 წელს ევროკავშირიდან 10 ძირითადი საიმპორტო პროდუქციის წილმა, ევროკავშირიდან მთლიანი იმპორტის 38.5% შეადგინა.

.• 2018 წელს ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 6%-ით (7.9 მლნ. აშშ დოლარით) გაიზარდა და 148 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 13%-ით (67.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი) და 582.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.[3]

ბოლო პერიოდის განმავლობაში საქართველო მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტერგირების გზაზეა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ განვითარებულ ქვეყნებთან ვაჭრობისას პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP) სარგებლობამ, რასაც მოგვიანებით GSP+ სავაჭრო რეჟიმები დაემატა, საქართველოსთვის უფრო ხელსაყრელი გახადა საგარეო ვაჭრობის პირობები და წაახალისა ექსპორტის ზრდა.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ექსპორტის მთლიანი მოცულობა 4-ჯერ გაიზარდა. 2009 წელს ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ახალ ფაზაში შევიდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა ითვალისწინებს ურთიერთობების გაღრმავებას სამი ძირითადი მიმართულებით: ასოცირების ხელშეკრულება (AA), რომელიც, ასევე, მოიცავს შეთანხმებას ღრმა და

[3] http://www.economy.ge (01.06.2019)

ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) და ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის შეთანხმებები.

ევროკავშირთან ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების რატიფიცირების შემდგომ (GSP+) რეჟიმი ჩანაცვლდება DCFTA-ით, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის ხელმისაწვდომობის ხელისშემშლელი ბარიერების ეტაპობრივ გაუქმებას.

2.2 საქართველოს სამრეწველო პოლიტიკა

საქართველოს სამრეწველო პოტენციალის ფორმირებამ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რთული გზა გაიარა. საბაზრო ეკონომიკიდან მემკვიდრეობით მიღებული ინდუსტრიის თითქმის სრული სპექტრი დაიშალა და მრეწველობის ტემპი ჩვენს ქვეყანაში ისე შემცირდა, სოლიდური ინვესტირების პირობებშიც კი მისი რაბილიტაციის საკითხი დღესაც უაღრესად პრობლე-მატურია. საქართველოს ეკონომიკის განვითარება დამოკიდებულია სწორად შემუშავებულ სამრეწველო პოლიტიკაზე, რომელიც მოგვცემს საშუალებას გამოყენებული იქნას ინოვაციური მიდგომები მრეწველობის პრიორიტეტული დარგებისადმი. კვლევის მეთოდოლოგია:ზოგადი მეცნიერული,სტატისტიკური დაკვირვების და შედარებითი ანალიზის, ინდუქციის და დედუქციის მეთოდები. შედეგები და გამოყენება: საქართველოს ეკონომიკა დგას გლობალური გამოწვევების წინაშე, რომლის პარალელურად აქცენტი უნდა გაკეთდეს სამუშაო ადგილების შექმნასა და ექსპორტის ზრდაზე ჩვენ ქვეყანას, სამრეწველო სექტორის გააქტიურებისათვის ნამდვილად სჭირდება სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერება ეკონომიკის მართვაში,რადგან არსებობს პრობლემები,რომლებიც აფერხებენ საქართველოს ეკონომოკის განვითარებას.

საქართველოს ეკონომიკა საბაზრო ურთიერთობების ფორმირების რთულ პროცესში იმყოფება. საბჭოური ეკონომიკის პროცესები მეტად მტკივნეული აღმოჩნდა მთელი საზოგა დოებისთვის. ამ პროცესებმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარება არ იყო ჩვეულებრივი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი. ეს იყო კატასტროფული მდგომარეობა, რაც გამოიწვია შემდეგმა მიზეზებმა, როგორიცაა ეკონო- მიკური კავშირების რღვევა; საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ქვეყნისათვის შეუფერებელი მოდელის შერჩევა; სახელმწიფოს როლის იგნორირება ეკონომიკის მართვაში; საკანონმდებლო ბაზის შეუსაბამობა ეკონომიკურ გარდაქმნებთან, არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება და ა. შ.

საქართველოს სამრეწველო პოტენციალის ფორმირებამ რთული გზა გაიარა თანამედროვე პერიოდამდე. საქართველოს ეკონომიკური სისტემა ერთიანი საბჭოთა სახალხოსამეურ ნეო კომპლექსის შემადგენელი ნაწილი იყო, სადაც ჩამოყალიბებული იყო მრეწველობის პრიორიტეტები. აღნიშნულ პრიორიტეტებს საკავშირო სპეციალიზაციის დარგები განსაზღვრავდნენ. დღეისათვის შექმნილი პროდუქციის ძირითადი ნაწილი მოდის ქვეყნის ბუნებრივ- სანედლეულო რესურსების მოპოვებისა და შიდა ბაზარზე ორიენტირებულ დარგებზე. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წლებში საქართველოს მრეწველობაში მკვეთრად დაეცა წარმოების მოცულობა და დარგის სხვა ძირითადი მაჩვენებლების დონე.მაშინ,როცა 1989 წელს მრეწველობა, მოძველებული ტექნოლოგიების პირობებშიც კი შე- სადარ ფასებში 12,4 მლრდ მანეთის (დაახლოებით 5,3 მლრდ დოლარის) პროდუქციას აწარ- მოებდა.რაც რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის 40 %-ზე მეტს შეადგენდა. მდგომარეობა არც მომდევნო წლებში გაუმჯობესებულს. 1997 წელს ქვეყნის მშპ-ში მრეწველობის ხვედრითმა წონამ მხოლოდ 14,2 % შეადგინა, ამასთან, კერძო საკუთრებაში გადასულ 672 საწარმოთა 20 %-ს არ უმუშავია

საერთოდ.[4] საბაზრო ეკონომიკა გულისხმობს საკუთრების პლურალიზმს. ამიტომ ჩვენი ქვეყნის გან- ვითარებაში დიდ მნიშვნელობას იძენს საკუთრების მრავალფორმიანობაზე დამყარებული სა- მეწარმეო საქმიანობის განვითარება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე მეწარმეობის გან- ვითარება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა პრივატიზაციის პროცესები და მოხდა სამრეწველო საწარმოთა დიდი ნაწილს აქციონირება, მრეწველობის განვითარების ტენდენცია საგრძნობ გაუმჯობესებას არ განიცდის. ამიტომ აუცილებელია ამ მხრივ მნიშვნელო- ვანი ღონისძიებების გატარება. საქართველოს მრეწველობის განვითარების პროცესს თუ დავაკვირდებით, აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, გარკვეულ დონეს მიაღწია, კერძოდ, საქართველოს მშპ-ში, 2016 წლის მონაცემებით, განსაკუთრებული ხვედრითი წილი უკავია მრეწველობას, 25,1 % და მშენებლობას-11,7%. მრეწველობის ქვესექტორების მიხედვით, უმეტესად განვითარებულია ფოლადის, მარგანე- ცის, ფეროშენადნობების, ცემენტის, მატარებლის ვაგონების, თვითმფრინავების ნაწილებისა სხვა მეტალშემცვლელი პროდუქციის წარმოება. ძირითადი მიზეზი ამ დარგების შენარჩუნები- სა, სავარაუდოდ არის მათი მეტნაკლები უპირატესობა რეგიონში არსებულ მწარმოებლებთან შედარებით, ქვეყანაში არსებული შესაბამისი ბუნებრივი წიაღისეულით და საბჭოთა კავში- რიდან შემორჩენილი ტექნიკურ-ინფრასტრუქტურული მემკვიდრეობა. აქ ჩამოთვლილი პრო- დუქციას ძირითადად აწარმოებენ ქარხნები, რომლებიც შეიქმნა საბჭოთა კავშირის დროს, მათ

გააჩნიათ შედარებით მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და ასევე, რიგ შემთხვაში კლასტერულად არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

დიაგრამა 2.6.

[4] საქართველოს ეკონომიკა, ასათიანი რ, რედ., თბ., 2012, გვ.163;



წყარო: საქსტატი 2019.

დიაგრამის მიხედვით 2018 წელს ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი აქვს ვაჭრობას და მრეწველობას.

საქართველო გლობალური კონკურენტუნარიანობის მიხედვით არასახარბიელო ადგილზეა, რაც გამოწვეულია ქვეყანაში იმპორტის მომძლავრებით და ექსპორტის შემცირებით.[5]

თანამედროვე ეკონომიკაში ,,სამრეწველო პოლიტიკაში'' გულისხმობენ ისეთ პოლიტიკას, რომლის წყალობითაც მრეწველობაში ყველაფერი კარგად წარიმართება და ამ სფეროში არსებული პრობლემები გადაიჭრება.დღეს საკამათოა საკითხი,თუ რამდენად უზრუნველყოფს სახელმწიფო იმ შუალედის დაცვას, რომლის წყალობითაც მიიღებენ მაღალ ეკონომიკურ შედეგებს და საფრთხეს არ შეუქმნიან დარგის განვითარებას. ,,სამრეწველო პოლიტიკაში'' გულისხმობენ პოლი- ტიკური ელიტისა და მმართველი აპარატის მიერ გავლენის მოხდენას დარგებსა და ზოგჯერ ცალ- კეულ საწარმოებზე, განვითარების ტემპებისა და მიმართულებების განსაზღვრის მიზნით. ამ პო- ლიტიკის გატარების უმოკლეს მეთოდს კი წარმოადგენს ამ დარგებისა და საწარმოებისათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, მათთვის სუბსიდიების მიცემა და უკეთეს სამართლებრივ რეჟიმზე გადაყვანა და სხვა შეღავათები.[6]

[5] გორგასლიძე მ, საქ. სამრეწველო პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები (2002)
[6] ბალცეროვიჩი ლ, თავისუფლება და განვიტარება. თავისუფალი ბაზრის

საქართველოს სამრეწველო სექტორის გააქტიურებისათვის ნამდვილად სჭირდება სახელმ- წიფოს როლის გაძლიერება ეკონომიკის მართვაში, რადგანაც არსებობს პრობლემები, რომლებიც აფერხებენ საქართველოს ეკონომიკის განვითარებას:

- კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა;
- არასაკმარისად განვითარებული ადამიანური კაპიტალი;
- ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

ქვეყანაში უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი ეკონომიკური წესრიგი,სადაც მთავარი მამოძრაველი ძალა კერძო სექტორი იქნება.სახელმწიფო მინიმალურად უნდა ჩარეთოს სამეწარმეო საქმიანობაში და კონკურენციას არ უნდა უწევდეს კერძო სექტორს. თანამედროვე ეპოქა მოითხოვს მაღალ ტექნოლოგიურ წარმოებას,რომელსაც შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები სჭირდება.ჩვენს ქვეყანაში დღეს ამ მხრივ მაღალი დეფიციტია, რისთვისაც აუცილებელია განათლების სრულყოფა. შეზღუდული ფინანსური რესურსები მეწარმეებს ხელს უშლის ბარირების დაძლევაში,რაც შექმნილია ფინანსურ ბაზარზე. ამასთან ერთად,დღევანდელი მრეწველობის განვითარების წინაშე დგას მთელი რიგი პრობლემები, მათ შორის მრეწველობის სამართლებრივი ბაზის სრულყოფა,ინოვაციური მიდგომების გამოყენება დარგის განვითარებაში, საექსპორტო წარმოების წახალისება და ა.შ.. აუცილებელია, ჩვენი ქვეყნის გამოცდილებიდან გამომდინარე,სწორად განვსაზღვროთ მისი მომავალი, სწორად ავირჩიოთ პრიორიტეტული დარგები მათი პერსპექტივის გათვალისწინებით, რათა მოხდეს ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ საკანონმდენლო აქტების მეშვეობით საერთო განვითარების სტიმულირება და ხელშეწყობა. საქართველოში არსებული ბუნებრივი პირობები და სანედლეულო ბაზა, შრომითი რესურსები, სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ტრადიციები, მრეწველობის განვითარებისათვის სათანადო პირობებს ქმნის. აქედან, განსაკუთრებით აღსანიშ- ნავია

ფილოსოფია, თბ., 2004, გვ. 293

მრავალფეროვანი მინერალურ-სანედლეულო რესურსები: შავი და ფერადი, კეთილშობილი და იშვიათი ლითონები, მყარი საწვავი, სამთომადნო, მეტალურგიული, ქიმიური და კერამიკული ნედლეული, არალითონური წიაღისეული, სამშენებლო მასალები, აგრონედლეული,სანაკეთო ქვები, ჰიდრომინერალური რესურსები, თხევადი საწვავი და სხვ. [7] აღსანიშნავის, რომ წამყვანი სექტორი მსოფლიო ეკონომიკისა და განვითარებულ ქვეყნებში არის მომსახურების სფერო, ხოლო განვითარებად ქვეყნების უმრავლესობა ეხლა ავითარებენ ინ დუსტრიულ სექტორს. ასეთ ქვეყნებში, მშპ-ში იზრდება მრეწველობის ხვედრითი წილი. ამ ქვეყნებს შორის განსხვავება მდგომარეობს მრეწველობის ადგილით და განვითარების დონით საერთო წარმოებაში, ძირითადად ინდუსტრიული პოტენციალით. ამ მხრივ დიდი ჩამორჩენა აქვს ჩვენს ქვეყანას, რადგანაც მსგავსი სამრეწველო პოტენციალის ქვეყნებმა მოკლე დროში შეძლეს სწარფად განევითარებინათ მრეწველობა და გამხდარიყვნენ ახალი ინდუსტრიული ქვეყნები.ეს პრობლემა სწრაფ რეაგირებას მოითხოვს, რათა მიღწეული იქნეს ჩვენთვის საჭირო ოპტიმალური დონე მრეწველობის განვითარებაში.ეკონომიკის სწრაფი განვითარებისათვის დიდ მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო რესურსების მოძიებას, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის და შესაძლებლობების ინფორმატიულობას გარე სამყაროში, ასევე სხვა ქვეყნების მიღწევების გაცნობის შესაძლებლობას ჩვენთვის. ამ პროცესისათვის მსოფლიოში კარგად არის აპრობირებული ინოვაცია, როგორც ახალი მიდგომების ორგანიზება, ახლის ძიება.ამიტომ ფართოდ უნდა გავუღოთ კარები ინოვაციების ინვესტირებას ქვეყანაში.საინოვაციო პოტენციალის კონცენტრაცია უნდა მოხდეს კარგად შერჩეული პრიორიტეტების მიხედვით.

და ბოლოს დასკვნის სახით ახალი სამრეწველო პოლიტიკის მიხედვით, თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა დგას მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე.აქცენტი უნდა გაკეთდეს სამუშაო ადგილების შექმნასა და ექსპორტის

[7] საქართველოს ეკონომიკა. მონოგრაფია რ. ასათიანის რედაქციით.. თბ., 2012, გვ.169.

ზრდაზე.საქართველოს ეკონომიკის განვითარების არსებული მოდელი გულისხმობს საზღვარგარეთიდან დიდი შემოსავლების მიღებას, მათ შორის გზავნილების კუთხით, რადგან ბევრი ქართველი მუშაობს საზღვარგარეთ.ასევე დიდია ქვეყანაში იმპორტის მოცულობა.ეს დიდხაანს არ უნდა გაგრძელდეს,რისთვისაც საჭიროა ეკონომიკური ზრდის ახალი მოდელი,ეს ნიშნავს პროდუქციის შექმნას იმ სექტორებში, რომელსაც საექსპორტო პოტენიაციალი აქვს, რომელსაც იმპორტისათვის კონკურენციის გაწევა შეუძლია და დამყარებული იქნება წარმოების მაღალ ტექნოლოგიურ განვითარებაზე.

თავი III. სამრეწველო გამოფენა გაყიდვების გავლენა სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე

3.1. სამრეწველო გამოფენა-გაყიდვების ღონისძიებები საქართველოში

ექსპოჯორჯია საგამოფენო ცენტრია საქართველოში და ასევე წამყვანი ცენტრი კავკასიის რეგიონში.კომპანია ორგანიზებას უწევს გამოფენებ, სხვადასხვა სახის კონფერენციებს, კონგრესებს და ღონისძიებებს.

საგამოფენო ცენტრის ისტორია 1958 წელს იწყება.ამ დროს ქვეყანამ დროებითი საგამოფენო პავილიონები ააშენა და თბილისის 1,5 საუკუნის იუბილეს აღსანიშნავად მოაწყო ინდუსტრიული ნაწარმის გამოფენა.ფართო მაშტაბიანი სამშენებლო სამუშაოები 1961წელს დაიწყო და შედეგად თბილისის ცენტრში განთავსდა თერთმეტი პავილიონი, სათბური, აუზი და პარკი.საბჭოთა პერიოდში საგამოფენო ცენტრში საბჭოთა მიღწევების ხაზგასასმელად, ეწყობოდა ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის პერმანენტული გამოფენები.წელიწადში ერთხელ სივრცე ეთმობოდა საერთაშორისო გამოფენებს. 1994 - 98 წლებში მოხდა ორგანიზაციის პრივატიზაცია და კომპანია გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად.განახლდა ინფრასტრუქტურა. „ექსპოჯორჯია”-ს დაეკისრა მნიშვნელოვანი როლი, ერთის მხრივ უცხოური კაპიტალის მოზიდვა საქართველოში და მეორე მხრივ ქართული ბიზნესებისათვის საერთაშორისო ბაზრების გახსნა.

წლების განმავლობაში, ექსპოჯორჯიას ღონისძიებები გახდა შესანიშნავი ფორუმი გადაწყვეტილების მიმღებთათვის და ახალი პროდუქტის შესაფასებლად, კონტაქტების დასამყარებლად, მიმწოდებლებთან ურთიერთობების გასაფართოებლად და შესყიდვების განსახორციელებლად.ბევრი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია “ექსპოჯორჯია”-ს მიიჩნევს საიმედო პარტნიორად და მნიშვნელოვან მოკავშირედ ბიზნეს ურთიერთობების დამყარებისა და განვითარების საქმეში.

ბიზნესის წარმომადგენლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ გამოფენა - გაყიდვები კარგი შესაძლებლობაა ცნობადობის გასაზრდელად, ისევე როგორც ახალი ბიზნესის დასაწყებად, თუმცა გამოფენა-გაყიდვებზე პროდუქცია უნდა წარმოაჩინდეს ეფექტურად, რადგან ეფექტური წარმოჩენა ინტერესს იწვევს.

პრროდუქტი (ნაწარმი) ისე უნდა წარმოჩინდეს, რომ პოტენციური მყიდველების შეძენა გახდეს შესაძლებელი. ნებიმიერი მეწარმისთვის გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა კარგია, ცნობადობის გასაზრდელდ.

გამოფენა- გაყიდვების მიმართულებებია: მშენებლობა, სამშენებლო მასალები, მძიმე ტექნიკა და აღჭურვილობა, არქიტექტურა და პროექტირება, ელექტრონული და მექანიკური სისტემები, დეკორი და ინტერიერი, კონდიცირებისა და გაგრილების სისტემები, მებაღეობა და ლანდშაფტის დიზაინი. მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, გამოფენა გაყიდვები შეიძლება სხვა ქვეყნებშიც მოეწყოს პროდუქტის უკეთ პოპულარიზაციისათვის.

საქართველოში ყველაზე ხშირად ეწყობა სამშენებლო მასალების, სამშენებლო აღჭურვილობის და ტექნიკის, სარემონტო მასალების, არქიტექტურული თუ საინჟინრო მომსახურების, ინტერიერის დიზაინის და ა.შ რადგან ამ სახის გამოფენა-გაყიდვების ინტერესი დიდია.

ასეთი გამოფენები პროფესიონალების გარდა აინტერესებს მომხმარებელს, რადგან საყოფაცხოვრებო საკითხთანაა დაკავშირებული და მოგეხსენებათ რემონტები თანმდევი პროცესია ადამინის ცხოვრებაში. ყველამ იცის, რა რთულია სარემონტო სამუშაოების დაგეგმვა, მასალების შედარება და შერჩევა ერთი მაღაზიიდან მეორე მაღაზიაში გადასვლა, ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში სიარული. ამას ძალიან დიდი დრო სჭირდება. ამიტომ, ჩაუცასუს Вუილდ არის უნიკალური შესაძლებლობა, ადამიანებმა მარტივად, ერთ სივრცეში შეარჩიონ მათთვის სასურველი მასალებიასეთ გამოფენებზე დამთვალიერებელს, რემონტისა და მშენებლობისთვის, ყველაზე მრავალფეროვანი არჩევანი ხვდება.

საქართველოში გამოფენაში მონაწილეობენ უცხოური კომპანიებიც, რომლებსაც არ აქვთ წარმომადგენლობა საქართველოში და ღონისძიების ფარგლებში, წარადგენენ საქართველოს ბაზრისთვის ახალ და ინოვაციურ პროდუქციასა და მასალებს

გამოფენა გაყიდვებზე ქართველი მომხმარებელი ეცნობა კარგად ნაცნობ, წამყვან, ქართულ ბრენდებს და ასევე, ახალ უცხოურ კომპანიებს. სამშენებლო გამოფენებით დეველოპერული კომპანიებიც ინტერესდებიან და ღონისძიების ფარგლებში, იწყებენ თანამშრომლობას სხვადასხვა კომპანიასთან. მშენებლობისა და ინტერიერის გამოფენა არის ადგილი, სადაც ამ დარგის სპეციალისტები, მთელი მსოფლიოდან, ხვდებიან ერთმანეთს, ამყარებენ ბიზნეს კონტაქტებს, ცვლიან ინფორმაციას და უზიარებენ ერთმანეთს ინოვაციებს სამშენებლო სფეროში, ხშირ შემთხვევაში, კი ახალი პროდუქციის პრეზენტაციასაც აწყობენ. ახლად ჩამოყალიბებული კომპანიებისათვის კი, ეს არის შესაძლებლობა იპოვნოს საკუთარი ადგილი ბაზარზე და შექმნან საწყისი პოზიცია ბიზნესის გასავითარებლად.

აგრარული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვები სულ უფრო ხშირად ეწყობა საქართველოში. აღნიშნული ღონისძიების მიზანია სასოფლო-სამეურენო პროდუქციის პოპულარიაზაცია. აგროსასურსათო პროდუქციის მწარმოებლებს შორის ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა. ამ გამოფენებზე წარმოდგენილია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, პირველადი გადამუშავების, შეფუთვისა და დაფასოების სხვადასხვაგვარი ნიმუშებით. ეს ხელს უწყობს აგრომეწარმეთა მოტივაციის გაზრდას, ბაზარზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით პოდუქციის ნიშან თვისებების გაუმჯობესებას, ფერმერულ და კოოპერატიულ მეურნეობების განვითარებას.

გამოფენაში მონაწილეობას ღებულობდნენ აგროსასურსათო სექტორში დასაქმებული კომპანიები, რომელსაც საშუალება ეძლევათ ეკლამირება გაუწიონ საკუთარ პროდუქციას.

საქართველოსთვის, როგორც ღვინის ქვეყნისთვის დამახასიათებელია ღვინის ფესტივალების მოწყობა. ქართული ღვინის ყველა ქომაგ სიამოვნებას ანიჭებს ამ ტიპის ღონისძიება.

3.2. სტარტაპები და ინოვატორები

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2016 წლის ივნისიდან, ქვეყანაში ამოქმედდა ვენჩურული საინვესტიციო პროგრამა - "სტარტაპ საქართველო“, რომელიც მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის ნაწილია. სახელმწიფო პროგრამამ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა დამწყები ბიზნესების ინოვაციურ იდეებს, ის სხვადასხვა კომპონენტებს მოიცავს: დაფინანსებას, საგადასახადო და იურიდიული პროცედურების გამარტივებას, ასევე, შესაბამისი განათლების ხელშეწყობას.

პროექტის კოორდინატორები არიან "საპარტნიორო ფონდი“ და „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“. სააგენტო დაფინანსებას გასცემს მხოლოდ უნიკალურ მაღალტექნოლოგიურ ინოვაციურ იდეებზე, ხოლო საპარტნიორო ფონდი ინოვაციურ პროექტებზე. მთლიანად პროგრამისთვის პირველ ეტაპზე გამოიყო 11 მილიონი ლარი, რაც შემდეგ 35 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

პროექტში 51 ფინალისტიდან 20-მა სტარტაპმა გაიმარჯვა და შესაბამისად მიიღო დაფინანსება. ბენეფიციარს არ მოეთხოვებოდა პროექტის თანადაფინანსება და მისი წილი კომპანიაში არის 95%. პროექტი კი დაფინანსდა 15,000-დან 100 000 ლარამდე. მაღალტექნოლოგიური პროექტების შემთხვევაში, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ერთობლივ საწარმოში პარტნიორად რჩება არაუმეტეს 7 წლის ვადით და არ ერევა სტარტაპის მმართველობაში. ინოვაციურ-ტექნოლოგიურმა გამარჯვებულმა სტარტაპებმა მიიღეს დაფინანსება გირაოსა და ქონების უზრუნველყოფის გარეშე. უზრუნველყოფა შემოიფარგლა მხოლოდ პროექტის ფარგლებში შექმნილი აქტივებით.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ატარებს ტრენინგებს, ქოაჩინგს, მენტორინგს და საკონსულტაციო მომსახურებას პროგრამის ყველა მონაწილესათვის.

ვენჩერული საინვესტიციო პროექტი განკუთვნილია მაღალტექნოლოგიური დარგის სტარტაპებისთვის, რომელიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: ავიაკოსმოსური წარმოება, ავტომობილები, ხელოვნური ინტელექტი,

ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რობოტიკა, ნახევარგამტარები და ტელეკომუნიკაცია.

მაღალტექნოლოგიური პროექტები შეაფასეს ვენჩურულმა ინვესტორებმა სილიკონ ველიდან. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროექტის ინოვაციურობას, ბიზნეს-მდგრადობას და პერსპექტიულობას. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ასევე უზრუნველყოფს წარმატებული პროექტების წარდგენას საერთაშორისო ინვესტორებისთვის, დამატებითი ინვესტიციების მოსაპოვებლად სილიკონ ველიში.

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, მთავრობის მიერ გატარებული ყველა მსგავსი სახის ღონისძიების საბოლოო მიზანი ქვეყანაში საერთო სამეწარმეო გარემოს შექმნა და ახალგაზრდა, დამწყები ბიზნესმენების წახალისებაა ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის. პროექტი ხელს უწყობს დამწყებს ბიზნესმენებს, რომელთა ბიზნესის ჩამოსაყალიბებლად მსგავსი ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია, რაც საბოლოოდ საზოგადოებრივ წინსვლას განაპირობებს. ინოვაციური პროდუქტის სრულყოფა მნიშვნელოვანია ბაზარზე თავის დამკვიდრებისთვის. პროგრამის არსებობა უნიკალური შანსია სრულიად ნულიდან განახორციელოს ინოვატორმა თავისი იდეა და შექმნას პროდუქტი, რომელიც ახალ სიტყვას იტყვის, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ბაზარზე.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო თავის საქმიანობაში ორიენტირებულია შექმნას და განავითაროს ის ინსტრუმენტები, რომელიც ხელს შეუწყოს საქართველოში მდგრადი და ხარისხიანი აქტორებით გაჯერებული სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებას. ამ მიზნით, ორგანიზაცია დაინტერესებულ მხარეებს და პოტენციურ ბენეფიციარებს სთავაზობს პროდუქტების და სერვისების ერთობლიობას, რომელიც ორიენტირებულია დაეხმაროს ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე

ორიენტირებულ ანტრეპრენიორებს და სტარტაპებს მანძილი იდეიდან ფუნქციონირებად შემოსავლის მოდელებამდე ჯეროვნად გაიარონ.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო რეგულარულად ცდილობს საკუთარ ბიზნეს ოპერაციებში შემოიტანოს და დანერგოს ისეთი მიმართულებები, რომელიც გამომგონებლებს და სტარტაპერებს მისცემს დაინტერესებას, უზრუნველყოფს მათ წვდომას წარმატებული საქმიანობისთვის აუცილებელი ისეთ საკვანძო მხარდაჭერის ფორმებზე როგორიცა არის ფინანსები, ცოდნა და ინფრასტრუქტურა.

მიმდინარე ეტაპზე, მცირე გრანტების პროგრამა, სტარტაპ მეგობრული, სტარტაპ ბიტსი, ბუთქემფი, საერთო სამუშაო სივრცე, ინკუბატორი, იდეების რეესტრი, ტრენინგების პორტალი და მხარდამჭერთა რეესტრი პროდუქტებისა და მომსახურებების იმ ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც საკვანძო ინსტრუმენტებია განვითარებული სტარტაპ ეკოსისტემის ასაშენებლად.

პროდუქტები ეხმარებიან სტარტაპებს, ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ მეწარმეებს, რომ იდეიდან ბაზრამდე მიმავალი გზა ნაკლები რისკებითა და მეტი თავდაჯერებულობით გაიარონ, ასევე უკვე ჩამოყალიბებული შემოსავლის მქონე ერთეულებს მიიღონ ცოდნა, კონტაქტები, ფინანსები და ზოგადი შესაძლებლობები რამაც შესაძლოა რადიკალურად შეცვალოს მათი ზრდის ტემპი და მიმართულების ხაზი.

და ბოლოს დასკვნის სახით "სტარტაპ საქართველოს“ მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ინოვატორების იდეებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზე გასვლას.

3.3. ქართული სამრეწველო პროდუქციის ცნობადობა, ამაღლების მნიშვნელობა სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე

საქართველო, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში, აქტიურად აწარმოებდა სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. საბჭოთა იმპერიის ჩამოშლის შემდეგ მან მემკვიდრეობით მიიღო დარღვეული ეკონომიკური სისტემა საბაზრო ურთიერთობების სრული გამოუცდელობით და ასეთივე საკანონმდებლო ბაზით, რამაც უამრავი პრობლემა შეუქმნა ქვეყანას. საქართველოსთვის, რომელიც დღეს თანდათან იკიდებს ფეხს მსოფლიო თანამეგობრობაში, თავის დასამკვიდრებლად მეტად მნიშვნელოვანია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, რომლის ერთ-ერთ უძველეს ფორმას საგარეო ვაჭრობა წარმოდგენს. სწორედ საგარეო ვაჭრობა უნდა გახდეს საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რომელიც სამწუხაროდ, ჯერჯერობით არასასურველი ტენდენციით ვითარდება.

ისეთი პროდუქტის და მომსახურების ექსპორტზე გატანა, რაშიც ქვეყანას შედარებითი უპირატესობა გააჩნია ეკონომიკური განვითარების გზაზე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.

ბოლო ათი წლის განმავლობაში, საქართველოს მთავარ საექსპორტო პროდუქტებს სატრანსპორტო და ტურისტული მომსახურება, აგროსურსათის სხვადასხვა პროდუქცია და ლითონის ზოგიერთი პროდუქცია შეადგენდა. იზრდება ზომა და დამატებითი ღირებულება გამომუშავებული ეკონომიკის მიერ, და შესაბამისად შემოსავლების დონე საქართველოში დამოკიდებულია ახალ ძლიერ მხარეებზე. სწორედ ამიტომ, ინვესტორებმა და სახელმწიფომ უნდა იცოდნენ სად მდებარეობს ეს ახალი ძალა, იმისათვის რომ მოახდინონ თავიანთი ქმედებების ჩამოყალიბება და აგრეთვე, საქართველოს ეკონომიკის მომავლის შესახებ აუცილებელი დებატების გამართვა. ისეთი ტიპის ხანგრძლივი დებატები, როგორიცაა მომავალი სპეციალიზაციების განსაზღვრა და შესაბამისად საქართველოს

„ეკონომიკის იდენტურობის“ საკითხები, მოითხოვს ობიექტურ ინფორმაციას რომელიც სცილდება მიმდინარე ძლიერი მხარეებს. დებატების ჩარჩოების შეზღუდვა მხოლოდ მიმდინარე სიძლიერეებზე, წარმოქმნის სხვა სფეროებში შესაძლებლობების დაკარგვის რისკს. შედარებითი უპირატესობა წარმოიშობა სხვადასხვა ასპექტით, რომელიც მოიცავს ბუნებრივ პირობებს და რესურსებს, ასევე უნარებსა და ადამიანურ კაპიტალს მიმდინარე კალათაში პროდუქტისა და მომსახურების საწარმოებლად. ახალი სპეციალიზაციების პოტენციალის გამოვლენა არ უნდაშეიზღუდოს მიმდინარე ძლიერი მხარეების ფონზე, საქართველომ უნდა გამოიყენოს სხვა ქვეყნების გამოცდილება მსგავსი სასტარტო პირობებით და მდგომარეობით.

ექსპორტის მიმდინარე სტრუქტურა დღეს, საქართველო სპეციალიზებულია ძირითადად ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტურიზმი, აგროსურსათი (განსაკუთრებით ღვინო, წყალი და სპირტი) და, ასევე ენერგორესურსების და პროდუქტების გამტარებელი სატრანზიტო ქვეყანა. აგრეთვე, ზოგიერთი სამთო პროდუქტი და სამრეწველო სექტორი ფეროშენადნობების, ოქროს და სპილენძის მადნების ჩათვლით საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, საქართველოს ექსპორტის გაძლიერება მნიშვნელოვან საკითხად რჩება. საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მოცულობამ 2017 წელს მშპ-ს 45% შეადგინა, იმპორტმა 58%, რამაც მიმდინარე და სავაჭრო ბალანსის მნიშვნელოვანი დეფიციტი განაპირობა გარდა ექსპორტის მოცულობის ზრდის მაჩვენებლისა, ექსპორტის ხარისხობრივი მაჩვენებლებიც იმსახურებს ყურადღების მიქცევას. პირველი, ექსპორტის მიმართულებების და პროდუქციის დივერსიფიცირება უნდა მოხდეს, რათა შემცირდეს ერთი ქვეყნაზე ან ბაზარზე დამოკიდებულების რისკი. მეორე, სასურველია სპეციალიზება მოხდეს ისეთ პროდუქციზე, რომელსაც შედარებით მაღალი ცნობადობა გააჩია.

ბოლო პერიოდში საქართველოში განხორციელებულმა ღონისძიებებმა, თავის მხრივ, გამოიწვია მოკრძალებული და მაინც დადებითი ტენდენციები:

- საქონლის ბრუნვის ზრდა;

- საგარეო ვაჭრობის ტერიტორიის გაფართოება;

- იმპორტის სტრუქტურაში მანქანა - მოწყობილობების და ტექნოლოგიების ზრდა;

- იმპორტის შემცირება იმ სასაქონლო პოზიციებში, რომელთა ადგილობრივი წარმოება ზრდის ტენდენციითა და კონკურენტუნარიანი საქონლის გამოშვებით ხასიათდება;

- დსთ ბაზრის პარალელურად სხვა ქვეყნების ბაზრებზე ქართული პროდუქციის გაყიდვების მატება.

საქართველოს მიერ ექსპორტირებული საქონლის ოდენობა ჯერჯერობით უმნიშვნელოა და ჩვენ არსებული პოტენციის მიუხედავად, კიდევ იმპორტზე ორიენტირებულ ქვეყნად ვრჩებით, მაგრამ ხელისუფლების ვარაუდით, მომავალში, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებისა და საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაციის კვალობაზე, კონკურენტუნარიანი მაღალხარისხიანი პროდუქცია ჩვენ ქვეყანაშიც უამრავი შეიქმნება და ამ პროდუქციაზე წარწერა „წარმოებულია საქართველოში“ ხარისხის აღმნიშვნელ ბრენდად დამკვიდრდება.

ქართველი ექსპორტიორებისა და უცხოელი ექსპერტების ერთიანი ძალით შესაძლებელი უნდა გახდეს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ამაღლება, საგარეო ბაზრებზე ქართული პროდუქციის წარმატებული გამოჩენა, მომსახურების განვითარება, მისი ექსპორტის ხელშეწყობა და ამის შედეგად ქვეყნის საგარეო ვაჭრობის გაუმჯობესება.

დასკვნა

საქართველოს ეკონომიკამ, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, უნდა აირჩიოს ეკონომიკური ზრდის ახალი, სრულიად განსხვავებული მოდელი წარსულისაგან, რომელიც ორიენტირებული იქნება ტექნოლოგიურ განვითარებაზე, საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურ ამოქმედებაზე.

განვითარებული ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის რეგიონული და საგარეო ასპექტები უშუალოდ ეხება მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნების, როგორც ეკონომიკური განვითარების, ასევე რეგიონულ გაერთიანებებში ინტეგრაციის პრობლემებს. ასეთი რეჟიმებით სარგებლობის ეფექტები მსოფლიო ეკონომიკაში ოპტიმალური ინტეგრირებისთვის შეფასებულია საქართველო-ევროკავშირის მაგალითზე.

ნაშრომში მოცემული საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზი, საშუალებას გვაძლევს უფრო ნათლად დავინახოთ ექსპორტის ზდის დინამიკა,

საქართველოს ახალი სტანდარტებისა და ტექნიკური რეგულაციების, შესაბამისი საკანანომდებლო ბაზის შექმნამ პოზიტიური გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის სექტორზე იმ თვალსაზრისით, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება ორიენტირებულია იმ სტანდარტებით პროდუქციის წარმოებაზე, რომელსაც რეალიზაციის პერსპექტივები ექნება ევროკავშირისა და სხვა განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე და, ამავდროულად, მაღალი სტანდარტები შეზღუდავს საქართველოში იმპორტირებულ დაბალი ხარისხის პროდუქციას.

1) ჩატარებული კვლევა გვაძლევს საშვალებას გავაკეთოდ დასკვნა მსუბუქი მრეწველობის აღორძინებისა და განვითარების მიმარტულებების შესახებ:

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის წარმოების ისტორიული მიმოხილვით და არსებული მდგომარეობის ანალიზით დადგენილია, რომ მსუბუქი მრეწველობა იყო 23 ერთ-ერთი იმ დარგთაგანი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ამ სფეროში ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორების ანალიზით განსაზღვრულია ის ტრადიციული დარგები, რომელთა ხელშეწყობას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია მსუბუქი მრეწველობის აღორძინებაში.

2) რაც აუცილებელია,მსუბუქი მრეწველობის სხვადასხვა სახეობის ნაწარმის ხარისხის ასამაღლებლად და ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მისაღწევად შემოთავაზებული და დასაბუთებულია მაღალკვალიფიციური საინჟინრო და პროფესიული კადრების და ნაწარმის დამზადებისას საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების აუცილებლობა.

პრეფერენციული რეჟიმები ეხმარება მცირე ღია ეკონომიკებს განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე შეღწევაში. სქემაში ჩართვის სარგებელი შესაძლოა გამოხატული იქნეს ვაჭრობის გაზრდილი მაჩვენებლით, ინვესტორების მეტი ნდობითა და დახმარებით უფრო გამჭვირვალე სამართლებრივი გარემოს ფორმირებაში. პრეფერენციულ რეჟიმებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მომხმარებლის სარგებელი (უკეთესი პროდუქცია უფრო დაბალ ფასად), ბაზრის განვითარება, გაფართოება და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.

მეაწწარმეებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ გამოფენა -გაყიდვები კარგი შესაძლებლობაა ცნობადობის გასაზრდელად, ისევე როგორც ახალი ბიზნესის დასაწყებად. პროდუქტი (ნაწარმი) ისე უნდა წარმოჩინდეს, რომ პოტენციური მყიდველების შეძენა გახდეს შესაძლებელი. ნებიმიერი მეწარმისთვის გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა პრესტიკარგია, ცნობადობის გასაზრდელდ პრესტიჟულია.

საქართველოში სამრეწველო გამოფენა- გაყიდვების მიმართულებებია: მშენებლობა, სამშენებლო მასალები, მძიმე ტექნიკა და აღჭურვილობა, არქიტექტურა და პროექტირება, ელექტრონული და მექანიკური სისტემები, დეკორი და ინტერიერი, კონდიცირებისა და გაგრილების სისტემები, მებაღეობა და ლანდშაფტის დიზაინი. მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, გამოფენა გაყიდვები შეიძლება სხვა ქვეყნებშიც მოეწყოს პროდუქტის უკეთ პოპულარიზაციისათვის.

საქართველოში ყველაზე ხშირად ეწყობა სამშენებლო მასალების, სამშენებლო აღჭურვილობის და ტექნიკის, სარემონტო მასალების, არქიტექტურული თუ საინჟინრო მომსახურების, ინტერიერის დიზაინის და ა.შ რადგან ამ სახის გამოფენა-გაყიდვების ინტერესი დიდია.

ასეთი გამოფენები პროფესიონალების გარდა აინტერესებს მომხმარებელს, რადგან საყოფაცხოვრებო საკითხთანაა დაკავშირებული და მოგეხსენებათ რემონტები თანმდევი პროცესია ადამინის ცხოვრებაში. ყველამ იცის, რა რთულია სარემონტო სამუშაოების დაგეგმვა, მასალების შედარება და შერჩევა ერთი მაღაზიიდან მეორე მაღაზიაში გადასვლა, ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში სიარული. ამას ძალიან დიდი დრო სჭირდება. ამიტომ, ჩაუცასუს Вуილდ არის უნიკალური შესაძლებლობა, ადამიანებმა მარტივად, ერთ სივრცეში შეარჩიონ მათთვის სასურველი მასალებიასეთ გამოფენებზე დამთვალიერებელს, რემონტისა და მშენებლობისთვის, ყველაზე მრავალფეროვანი არჩევანი ხვდება.

აგრარული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვები სულ უფრო ხშირად ეწყობა საქართველოში. აღნიშნული ღონისძიების მიზანია სასოფლო-სამეურენო პროდუქციის პოპულარიაზაცია. აგროსასურსათო პროდუქციის მწარმოებლებს შორის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება. ამ გამოფენებზე წარმოდგენილია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, პირველადი გადამუშავების, შეფუთვისა და დაფასოების სხვადასხვაგვარი ნიმუშებით. ეს ხელს უწყობს აგრომეწარმეთა მოტივაციის გაზრდას, ბაზარზე არსებული მოთხოვნის

გათვალისწინებით პოდუქციის ნიშან თვისებების გაუმჯობესებას, ფერმერულ და კოოპერატიულ მეურნეობების განვითარებას.

გამოფენაში მონაწილეობას ღებულობდნენ აგროსასურსათო სექტორში დასაქმებული კომპანიები, რომელსაც საშუალება ეძლევათ ეკლამირება გაუწიონ საკუთარ პროდუქტს. საქართველოსთვის, როგორც ღვინის ქვეყნისთვის დამახასიათებელია ღვინის ფესტივალების მოწყობა. ქართული ღვინის ყველა ქომაგ სიამოვნებას ანიჭებს ამ ტიპის ღონისძიება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი რ, საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2012
2. ლეშეკ ბალცეროვიჩი. თავისუფლება და განვითარება. თავისუფალი ბაზრის ფილოსოფია. თბ., 2004, გვ. 293;
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი პროგრამა ,,სტრატეგია-2020''. საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკის გამოწვევები. საზოგადოებრივი კვლევის ცენტრი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი. 2016
4. საქართველოს ეკონომიკა. მონოგრაფია რ. ასათიანის რედაქციით. გამომცემლობა ,,სიახლე''. თბ., 2012, გვ.169. გორგასლიძე მ, საქ. სამრეწველო პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები
5. გორგასლიძე მ, საქ. სამრეწველო პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები 2009
6. ბალცეროვიჩი ლ, თავისუფლება და განვიტარება. თავისუფალი ბაზრის ფილოსოფია, თბ., 2004, გვ. 293
7. საქ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო www.economy.ge

8. რ. აბესაძე, დ. ჩომახიძე, მრეწველობა, “საქართველოს ეკონომიკა” რედ. რ. ასათიანი. 2012
9. The Willing World: Shaping and Sharing a Sustainable Global Prosperity 2018
10. A Crisis of Beliefs: Investor Psychology and Financial Fragility, by Nicola Gennaioli and Andrei Shleifer, Princeton, 2018
11. Gigged: the Gig Economy, the End of the Job and the Future of Work, by Sarah Kessler, Random House Business, 2018
12. Prosperity: Better Business Makes the Greater Good, by Colin Mayer, Oxford 2017
13. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1-----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.2&d=HASH611428d35ab6e96ac30284.7.3&gt=1
14. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba
15. http://economicprofile.org/archives/829
16. https://novatori.files.wordpress.com/2011/02/cigni2020sagareo20ekonomikuri20urtiertobebi-2009.pdf
17. https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/49071/node/49071_ka
18. https://www.entrepreneur.com/article/335082,
19. https://www.greenentrepreneur.com/topic/startap-dekreti
20. .https://entreprenuer.info/topic/siakhleebi-da-tendentsiebi
21. http://creativegeorgia.ge/News/Kickstart-Weekend.aspx
22. https://forbes.ge/2/business/page/23/#!
23. http://www.moa.gov.ge/Ge/Public/Strategy/8
24. http://agronews.ge/sophlis-meurneoba-da-qveqhnis-ganvithareba/